

Culinary Linguistics and Sustainable Development: Georgian Business Responsibility for Terminological Accuracy

(Abstract)

KEYWORDS: Sustainable Development, Business, Term, Linguistics, Dictionary, Georgia, Special-Purpose Language (SPL)

Culinary linguistics is a more consequential field of scholarly inquiry than nutrition or tasting, because it concerns sectoral communication that offers global opportunities for knowledge exchange, identity formation and economic interaction. Culinary terminology is part of special-purpose language (SPL): a set of vocabulary and conventions employed by chefs, manufacturers, researchers, regulators, marketers and consumers in professional and practical activities, both spoken and written. This language is used to describe culinary techniques, processes, ingredients, and products.

When sectoral communication in gastronomy lacks consistent, developed Georgian terminology, professionals resort to foreign languages and introduce barbarisms into the native tongue, leading to lexical weakening, impoverishment, and deterioration of the SPL. Practical barriers then arise for vocational training, certification, digital services, e-content creation and market access. For this reason, UNESCO recognised in 2005 that a national terminology policy and the practical

adoption of business terms are necessary conditions for sustainable development. Only by implementing such a policy can linguistic identity be protected, the digital and information divide be reduced, and, most importantly, local national values be reinforced.

Terminology planning should respond to the communicative needs of specialists. In culinary linguistics, technical communication depends on terminological accuracy across ingredient and product specifications, labelling, recipes, educational materials, scholarly research and legislative or regulatory texts. Georgian still lacks standardised culinary terms, producing numerous scientific and practical deficiencies: errors, misunderstandings and ambiguities appear in menus, legislative (notably customs) and business documents, and databases; machine translation and interoperability with international systems (food ontology, e-commerce taxonomy, certification registry) are compromised. The protection of the state language is therefore neither marginal nor purely linguistic: it intersects with business, sustainable development and legal frameworks.

Because linguistics is not unidirectional, contemporary culinary linguistics involves more than adapting into Georgian, i.e. Georgianising foreign items. Given the distinctiveness and richness of Georgian cuisine and ingredients, it is crucial to select appropriate English equivalents for national terminology to facilitate entry into international markets. Current terminological shortcomings significantly impede economic progress: without precise terminology, Georgian products are poorly recognised abroad, raising transaction costs for exporters and limiting Georgian speakers' ability to engage with innovative systems.

Interest in foreign cuisines in Georgia has risen markedly since state independence was restored in the early 1990s, and many previously unfamiliar words have entered product labels and café and restaurant menus. Faced with severe political and

social challenges, society paid less attention to the norms of the state language. That the UNESCO Terminology Policy Guide (2005) was translated into Georgian only in 2021 attests both to earlier neglect and to subsequent progress: a translation was needed, and one has now been produced.

The absence of standardised terminology exacerbates digital inequality within sectoral domains and contributes to functional illiteracy. An imbalance is apparent: many lexicographers introduce incorrect terms or neglect to coin practically essential concepts correctly, whereas culinary specialists propose carefully considered terms that account for all relevant data, as discussed in this article. Permitting such an old, rich and diverse language as Georgian to evolve haphazardly cannot be justified. Without the standardisation of lexical resources, Georgian society and the state language will confront numerous practical problems; prevention is both more effective and easier than repairing damage afterwards.

Sakpatenti's work on general transcription and transliteration is of vital importance, and rightly so. Georgian cuisine is an element of the nation's intangible cultural heritage and must be treated with particular care.

I should also acknowledge the patriotic contribution of Georgian chefs, whose efforts to preserve linguistic purity in television and online video content have been invaluable; their usage proved a significant aid when compiling the gastronomic dictionary of problematic items. With the turn of the third millennium, I embarked on what has been perhaps the most palatable and engaging research endeavour of my career, yet the fieldwork proved unexpectedly challenging.

The difficulty stems from a specific linguistic circumstance. Georgian employs an original script (three recognised historical forms – Asomtavruli, Nuskhuri-Khutsuri and Mkhedruli – and an unofficial form, Dedabruli). Unlike many European contexts,

where Latin or Cyrillic scripts simplify adaptation from neighbouring languages, Georgian faces two recurring philological problems with each borrowed term: how to spell it and how to render its pronunciation according to the norms of the state language.

A third – and arguably the most pressing – problem is that many importers of gastronomic goods lack knowledge of native terms that have fallen out of common use. For example, the widely imported citrus pomelo is known in Georgia as “thuringi” and was cultivated successfully in western Georgia in the mid-20th century. The cashew, largely unfamiliar until its wider consumption from the early 21st century, lacks firmly established Georgian equivalents for both the tree and the fruit – historically rendered as “akaju” (tree) and “kaju” (fruit) – despite the fact that these and many other Brazilian plant names have appeared in Georgian for decades, notably in Elene Chavchavadze’s 1965 translation of José Monteiro Lobato’s *Sítio do Picapau Amarelo* (commonly translated as *The Yellow Woodpecker Ranch*).

In the harsh realities of the market economy, a proprietor intent on preserving their business will predictably choose the quickest, most accessible solution and so solve the problem by placing whatever they consider plausible on a label. They often neglect that many foreign culinary names do not originate in English; consequently, Georgian has become increasingly dependent on English, leading to incorrect borrowings. More conscientious importers – whose careful labelling is evident on Georgian-language packaging – frequently receive inadequate support from translators because many gastronomic terms are absent, unclear or inaccurate not only in twentieth-century dictionaries but even in substantial works such as *A Comprehensive Georgian-English Dictionary* (2006).

Take the Georgian dish ekala: the *Comprehensive Dictionary* (2006) glosses it as smilax, a genus of more than 300

species little known to anglophone audiences, whereas the synonym sarsaparilla (from Spanish) has long been widespread in English, especially American English. The dictionary’s proposed rendering – “edible smilax shoots” – describes the dish rather than supplying a name. Given the long-standing influence of Spanish on American English, compilers of comprehensive Georgian–English and English–Georgian dictionaries should consult Georgian specialists in Spanish usage (for example, Tea Gvasalia or Manuel Barranda). Because ekala denotes a highly specific dish, I recommend following Shota Dvalishvili’s example in *Georgian Gourmet* (2018) by introducing the Georgian term ekala into English.

Gastronomic dictionaries were scarce worldwide until the 2010s: a search of library catalogues, online repositories and bookshops shows that only a few editions existed, and only in the past decade has scholarly attention to the field increased substantially. The *Encyclopedic GastroDictionary* (2022) is the first Georgian effort of demonstrable practical value grounded in linguistic research. It will be useful to Georgian consumers and food-industry professionals as well as to Kartvelologists, philologists, linguists and historians. With over 3,800 entries, the work represents an important initial step towards establishing a special-purpose language for culinary matters in Georgia.

Developing a terminological glossary is the first stage of a long-term programme. Beyond scholarly research, industry associations, chambers of commerce, agrifood clusters and tourism boards should collaborate with linguists, culinary specialists, terminologists and Sakpatenti to create interoperable terminological datasets: up-to-date terminological dictionaries, SPL lexicons, a national terminology database (TDB), and a state network to support full standardisation. Linguistic resources must serve a broad range of users: chefs, smallholders, large

enterprises, exporters and importers, regulators, software developers, researchers, educators and students.

The culinary sector is both a content creator and primary user: every menu, product label, website, cookbook and manual forms part of sectoral communication and thereby shapes the special-purpose language in Georgian – either strengthening and enriching it, or weakening and obsolescing it. Establishing a culinary-linguistic standard is therefore not an end in itself: the state must ensure dissemination and consolidation of the agreed vocabulary. Licensed teachers in schools, institutes, universities, vocational colleges and certified courses should be tasked with raising terminological awareness among students so that graduates can employ professional terms correctly at national and international levels. Businesses and individuals in tourism, gastronomy and catering should adopt standardised terminology in contracts, quality-assurance documents and marketing materials.

A national terminology policy must be multilingual and inclusive, able to set priorities, fund linguistic projects and designate responsibility for implementing Article 2, Paragraph 3 of the Constitution of Georgia in the twenty-first century – that is, to determine who will verify, update and publish sectoral terms. This issue is sensitive: the study demonstrates that even eminent linguists often lack the specialised knowledge required to resolve culinary-linguistic problems and, in some cases, have introduced further errors. I therefore recommend including several independent research centres with regular reporting to the relevant government authority – most plausibly a joint commission of the Ministry of Education and Culture and Sakpatenti – with direct involvement of culinary experts who have linguistic training.

კულინარიული ლინგვისტიკა
და მღბრადი ბანვიოთარება:
ქართული ბიზნესის პასუხისმგებლობა
ტერმინოლოგიურ სიზუსტეზე

საკვანძო სიტყვები: მღბრადი განვითარება, ბიზნესი, ტერმინი,
ლინგვისტიკა, ლექსიკონი, საქართველო,
სპეციალური დანიშნულების ენა

კულინარიული ლინგვისტიკა კვებასა თუ დაგემოვნებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევის თემაა, რადგან იგი დარგობრივი კომუნიკაციის სფეროა, რომელიც ცოდნის, იდენტობისა და ეკონომიკური გაცვლის გლობალურ შესაძლებლობას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით. კულინარიული ტერმინოლოგია სპეციალური დანიშნულების ენას (special-purpose language, SPL) მიეკუთვნება, რომელიც ლექსიკისა და კონვენციების ერთობლიობაა. მას იყენებენ შეფ-მზარეულები, მწარმოებლები, მკვლევრები, მარეგულირებლები, მარკეტოლოგები და რიგითი მომხმარებლები პროფესიული თუ პრაქტიკული საქმიანობის (მეტყველება, წერა) დროს. ამ ენით ხორციელდება კულინარიული ტექნიკის, პროცესების, ინგრედიენტებისა და პროდუქტების ვერბალური გამოსახვა.

როდესაც გასტრონომიაში დარგობრივ კომუნიკაციას აკლია თანმიმდევრული, სათანადოდ

განვითარებული ქართული ტერმინოლოგია, პროფესიონალები უცხო ენებს იყენებენ და მშობლიურ ენას (ჩვენს შემთხვევაში, ქართულს) ბარბარიზმებით ანაგვიანებენ, რაც იწვევს სპეციალური დანიშნულების ენის ლექსიკურად დასუსტებას, გაღარიბებასა და გადაგვარებას. შედეგად, პრაქტიკული ბარიერები წარმოიქმნება ტრენინგის, სერტიფიცირების, ციფრული მომსახურების, ელექტრონული კონტენტის შექმნისა და ბაზარზე წვდომისათვის. სწორედ ამიტომ აღიარა იუნესკომ 2005 წელს ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკა და ბიზნესისთვის ტერმინების პრაქტიკული გამოყენება მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობად. მხოლოდ მისი აღსრულებით არის შესაძლებელი ენის ლინგვისტური იდენტობის დაცვა, ციფრული და საინფორმაციო დაყოფის შემცირება და, რაც მთავარია, ადგილობრივი ეროვნული ღირებულებების გაძლიერება.

ტერმინოლოგიის დაგეგმვა უნდა პასუხობდეს დარგის სპეციალისტების კომუნიკაციურ მოთხოვნებს. კულინარიულ ლინგვისტიკაში ტერმინთა სიზუსტეზეა დამოკიდებული ტექნიკური კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს ინგრედიენტებისა და პროდუქტის სპეციფიკის დადგენას, ეტიკეტირებას, რეცეპტებს, სასწავლო მასალებს, სამეცნიერო გამოკვლევებსა და საკანონმდებლო-მარეგულირებელ დოკუმენტებს.

ქართულ ენას ჯერჯერობით არ გააჩნია სტანდარტიზებული ტერმინები კულინარიულ სფეროში, რაც იწვევს მრავალ ლინგვისტურ ნაკლს სამეცნიერო და პრაქტიკულ დონეზე: შეცდომები, გაუგებრობა ან ბუნდოვანება ფიქსირდება მენიუებში, საკანონმდებლო (განსაკუთრებით, საბაჟო) და ბიზნესდოკუმენტებში, მონაცემთა ბაზებში; პრობლემები წარმოიქმნება მანქანური თარგმანისა და საერთაშორისო სისტემებთან

(საკვების ონტოლოგია, ელექტრონული კომერციის ტექნოლოგია, სერტიფიცირების რეესტრები) ურთიერთობის დროს. ნათელია, რომ სახელმწიფო ენის დაცვის პრობლემა განყენებული თემა არაა და ენათმეცნიერებასთან ერთად, მჭიდროდ უკავშირდება მრავალ მომიჯნავე სფეროს, ბიზნესიდან დაწყებული, მდგრადი განვითარებითა და სამართლის საკითხებით დამთავრებული.

რადგან ენათმეცნიერება ცალმხრივი მოძრაობის სისტემა არაა, უცხოური ტერმინების მოქართულების პრობლემით არ ამოიწურება თანამედროვე კულინარიული ლინგვისტიკა. ქართული უმდიდრესი სამზარეულოსა და ინგრედიენტების თავისთავადობის გამო, უაღრესად მნიშვნელოვანია ეროვნული ტერმინოლოგიისთვის ინგლისურენოვანი შესატყვისების სწორად შერჩევა საერთაშორისო ბაზარზე გასვლის პერსპექტივის ხელშესაწყობად. ამჟამად არსებული მრავალი ტერმინოლოგიური ხარვეზი ეკონომიკურ პროგრესს მნიშვნელოვნად აფერხებს, რადგან ზუსტი ლინგვისტური სახელწოდებების გარეშე ქართული პროდუქციის აღქმის („ცნობადობის“) პრობლემაა საერთაშორისო ბაზარზე, რაც განაპირობებს ტრანზაქციის მაღალ ხარჯებს ექსპორტიორებისთვის და ქართულენოვანი მოსახლეობის შეზღუდულ მონაწილეობას ინოვაციურ სისტემებში.

საქართველოში უცხოური სამზარეულოებისადმი უაღრესად გაიზარდა ინტერესი მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღვიდგინეთ 1990-იანი წლების დასაწყისში. სავაჭრო ობიექტების დახლებზე გამოფენილი პროდუქციის ეტიკეტებსა თუ კაფე-რესტორნების მენიუებში სტიქიურად შემოიჭრა ქართული რეალობისთვის მანამდე უცხო მრავალი ახალი სიტყვა. ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციაში საზოგადოებას ნაკლებად ეცალა სახელმწიფო ენის ნორმათა სათა-

ნადოდ დაცვისთვის. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) მიერ 2005 წელს ინგლისურად გამოცემული „ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო“ მხოლოდ 2021 წელს ითარგმნა ქართულად. პრობლემის აღიარებაა, რომ თარგმანი დაგვიჭირდა, ხოლო პროგრესია, რომ გვაქვს.

სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის არარსებობა ციფრულ უთანასწორობას აღრმავებს დარგობრივ კონტექსტებში და ფუნქციურ გაუნათლებლობამდე მიყვავართ. აშკარა დისბალანსი იკვეთება ქართულ რეალობაში: ლექსიკოლოგიების უმეტესობა არასწორ ტერმინებს ამკვიდრებს ან საერთოდ არ ზრუნავს პრაქტიკულად საჭირო მცნებების სწორი ფორმით შემოღებაზე მაშინ, როდესაც უშუალოდ კულინარიის დარგის სპეციალისტები ხშირად გეთავაზობენ გააზრებულ ტერმინებს, ყველა იმ აუცილებელი მონაცემის გათვალისწინებით, რაზეც სტატიაში მაქვს საუბარი. თუმცა, ქართულის მსგავსი ძველი, მდიდარი და მრავალფეროვანი ენის ასე სტიქიურად მიშვება, საბოლოო ჯამში, არ გაამართლებს. შესაბამისი ლექსიკური რესურსების სტანდარტიზაციის გარეშე, ქართული საზოგადოება და სახელმწიფო ენა არაერთ პრაქტიკულ პრობლემას გადააწყდება. პრევენცია კი ყოველთვის უფრო ეფექტური და იოლია, ვიდრე გაფუჭებული გამოსწორება.

ქართველებს განსაკუთრებით გვახასიათებს გასტრონომიული სფეროს სიყვარული და უკიდევანო ინტერესი როგორც საკუთარი, ისე სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოსადმი. შესაბამისად, დავიწყე როგორც საქართველოში შემოსული უცხოური პროდუქციის სახელწოდებების, ისე – უცხოური კერძებით გამრავალფეროვნებული ქართული კაფე-რესტორნების მენიუების ლინგვისტურ-

ორთოგრაფიული კვლევა და სავალალო დასკვნამდე მივდი. თვალშისაცემი იყო უამრავი შეცდომა: პარადღე-ლიზმები და უზუსტობები როგორც თარგმანის, ისე ტრანსლიტერაციის თვალსაზრისით. ეს განპირობებულია მოცემული დარგისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტერმინების სამეცნიერო კვლევა-დაზუსტების შედარებითი სიმწირით ქართულ რეალობაში. რადგან ხუთ ენაზე სრულყოფილად შემიძლია ენათმეცნიერული ძიების განხორციელება, როგორც ფილოლოგმა და ლინგვისტმა, თავი ვალდებულად ჩავთვალე ჩემი წვლილი შემეტანა არსებული პრობლემის მოგვარებაში.

სახელმწიფო ენის სიწმინდის დაცვა ყოველი მოქალაქის ვალია, მაგრამ ამხელა პასუხისმგებლობის ინდივიდუალურად საკუთარ თავზე აღება იმანაც გამაბედინა, რომ ყოველგვარი კვლევის გარეშეც არაერთი ტერმინი ვიცოდი როგორც ქართულად, ისე სხვა ენებზე კულინარიისადმი ჩემი მრავალწლიანი განსაკუთრებული ინტერესიდან გამომდინარე. არანაკლები პრაქტიკული გამოცდილება-საფუძველიც გამაჩნდა ამ სფეროში მსოფლიოს არაერთი ცნობილი შეფ-მზარეულის (ჯეიმი ოლივერიდან დაწყებული გორდონ რამზით დამთავრებული), ამასთანავე, ქართველი ოსტატების (მანუელ ფაუნდეს ბარანდა, ვახო დევდარიანი, კონსტანტინე თედელური, ლევან კობიაშვილი, ლუკა ნაჭყებია, ლალი ჭიღლაძე ანუ აპოლინე) წყალობით. კულინარიულ ტერმინებთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ქართველი შეფების მიერ მშობლიური ენის დაცვაზე ზრუნვის მამულიშვილური ფაქტი სხვადასხვა ტელეგადაცემასა თუ ინტერნეტსერცეში განთავსებულ ვიდეოკონტენტში. მათ მიერ გამოყენებული შესატყვისები მნიშვნელოვნად დამეხმარა გასტროლექსიკონზე მუშაობისას პრობლემურ სიტყვებთან დაკავშირებით.

ახალი, მესამე ათასწლეულის დადგომასთან ერთად დავიწყე, ალბათ, სამყაროში ყველაზე გემრიელი და სახალისო სამეცნიერო კვლევა. თუმცა, როგორც ძიების პროცესში გაირკვა, ურთულესი ამოცანის წინაშე აღმოვჩნდი.

განსაკუთრებით გაჭირდა კულინარიულ ტერმინთა შტორმთან გამკლავება ერთი უადრესად სპეციფიკური მიზეზის გამო. ქართულ ენას ორიგინალური ანბანი (სამი ოფიციალური – ასომთავრული, ნუსხა-ხუცური, მხედრული და ერთიც, არაოფიციალური – „დედაბრული“) აქვს, ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ან ლათინური, ან კირილეს სლავური ვერსიები დომინირებს. შესაბამისად, დასავლეთევროპული ენებისათვის დიდად პრობლემური არაა მეზობელი ქვეყნებიდან ტერმინების ადაპტირების პროცესი მაშინ, როცა ქართულში ორი უმნიშვნელოვანესი ფილოლოგიური პრობლემა ჩნდება თითოეულ ახალ ნასესხებ სიტყვასთან დაკავშირებით: როგორ ჩავწერთ და როგორ წარმოვთქვათ ახალი ტერმინი სახელმწიფო ენის ნორმათა დაცვით.

მესამე, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა ისაა, რომ გასტრონომიული პროდუქციის იმპორტით დაკავებულ ბიზნესმენტა უმეტესობამ მშობლიურ ენაში არსებულის, მაგრამ მიზეზთა გამო დღეს მივიწყებული სიტყვები არ იცის. მაგალითად, ჩინეთიდან იმპორტირებული, საკმაოდ პოპულარული ციტრუსი „პომელო“ რომ ქართულად „თურინჯია“ და მისი მოყვანა-მომრავლება დასავლეთ საქართველოშიცაა შესაძლებელი; ჩვენში უკვე ფართოდ იმპორტირებულ-მოსხმარებული ბრაზილიური თხილი „ქეშიუ“ ორიგინალის ენიდან ქართულ ლექსიკაში ჯერაც ვერ დამკვიდრდა ზუსტი შესატყვისებით – „აკაჟუ“ (ხე) და „აკაჟუ“ (აკაჟუს ნაყოფი) იმის მიუხედავად, რომ აკაჟუს ხეცა და მრავალი სხვა ბრაზილიური მცენარე თუ მისი ნაყოფი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ქართულ

ენაზე 1965 წელს გამოცემულ უოზე მონტეირუ ლობატუს წიგნში „ყვითელი კოდალას ორდენი“ მართებული ფორმით გვხვდება ელენე ჭავჭავაძის სწორუპოვარი თარგმანის წყალობით.

ეკონომიკის მკაცრ რეალობაში საკუთარი ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული ადამიანი, ცხადია, მისთვის ხელმისაწვდომ, იოლ გზას ირჩევს და მარტივად „გადაჭრის“ საკითხს: როგორც ამოიკითხავს საკუთარი ზოგადი ცოდნით, ისევე აწერს ეტიკეტზე. არც იმას ითვალისწინებს, რომ ყველა უცხოური სიტყვის ძირი ინგლისური არაა. ამის გამო ქართულში მომრავლდა კალკები ინგლისური თუ სხვა ენებიდან.

ის ბიზნესმენები, ვისაც მეტი პასუხისმგებლობა გააჩნია და გარკვეულ დროს უთმობს საკითხის დაზუსტებას (ეს აშკარად ეტყობა მათ პროდუქციაზე დაკრულ ქართულენოვან ეტიკეტებს, რადგან ბიზნესის მესვეურთა მხოლოდ კანონმორჩილებასთან არ გვაქვს საქმე), მთარგმნელ-თარჯიმანთაგან სათანადო ხელშეწყობას მოკლებულია იმ მარტივი მიზეზით, რომ არათუ XX საუკუნეში გამოცემულ ლექსიკონებში, არამედ 2006 წლის ისეთ სოლიდურ გამოცემაშიც კი, როგორიცაა „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, მრავალი გასტრონომიული ტერმინი ან საერთოდ არაა, ან დაუზუსტებელია.

ქართული „ეკალას“ შემთხვევაში, აღნიშნულ ლექსიკონში მითითებული სიტყვა smilax ამ მცენარის 300-ზე მეტ სახეობას აერთიანებს და ინგლისურენოვან საზოგადოებაში ნაკლებად არის ცნობილი მაშინ, როცა smilax-ის სინონიმი sarsaparilla კარგა ხნის წინათ შევიდა ინგლისურ ენაში ესპანურიდან, ფართოდ გავრცელდა და დღემდე აქტიურად გამოიყენება, განსაკუთრებით, ამერიკულ ინგლისურში (მაგ., იხ.: კომპიუტერული თამაში „სმარფების სოფელი“). ლექსიკონის მიერ, სავარაუდოდ, ქართუ-

ლი კერძის აღსანიშნავად შემოთავაზებული edible smilax shoots ანუ „ეკალას საკვებად გამოსადეგი ყლორტები“ ამ ფხალის სახელწოდების მოლექსიკონებაა.

რადგან აშშ-ში ესპანური ენის გავლენა ამერიკულ ინგლისურზე უკვე საუკუნეებს ითვლის, ქართულ-ინგლისურ თუ ინგლისურ-ქართული მოცულობითი ლექსიკონის შედგენისას სავალდებულოა ესპანური ენიდან ნასესხები სიტყვებისთვის სათანადო ყურადღების მიქცევა (ცხადია, ესპანური ენის სპეციალისტის კონსულტაციით, მაგ., თეა გვასალია, მანუელ ბარანდა და სხვ.). 2006 წელს გამოცემულ, ჯერჯერობით ყველაზე მოცულობით ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში „ეკალას“ სანახევროდ მითითებამ გამოიწვია ის, რომ ქართული კერძებისადმი გაზრდილი ინტერესის დასაკმაყოფილებლად შექმნილ-გამოცემული კულინარიული რეცეპტების წიგნებში ავტორები არ იყენებენ კერძის განმარტებას (edible smilax shoots) „ეკალას“ სახელწოდებად. მათდა სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტურად მართებულ გამოსავალს პოულობენ, როდესაც უცვლელად გადააქვთ Ekala with walnuts ინგლისურად. ასე ქართული კერძის ინგლისურ ენაში დამკვიდრებას უწყობენ ხელს და ჩვენი სახელმწიფო ენის უფლებებს იცავენ საერთაშორისო დონეზე (მაგალითად, ეკალა ნიგეზით – Ekala with walnuts).

არცთუ იშვიათად, კულინარიული ტერმინი მცდარია „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში“. მაგალითად, „ორცხოვილა“, რაც ორჯერ გამომცხვარ პურის ნაჭერს ნიშნავს, გამოყენებულია ორი განსხვავებული კულინარიული პროდუქტის შესატყვისად:

1. „სუხარი“ (ორჯერ გამომცხვარი პურის ნაჭერი);
2. „პეჩენია“ (მშრალი ნამცხვარი).

ეს შეცდომა გამოწვეულია ენათმეცნიერული ლაფსუსით: ინგლისურ-ქართული ტერმინების შეჯერების შე-

დეგად ჩანს, რომ მავანმა ჯერ „სუხარი“ გადათარგმნა ქართულიდან ინგლისურად და, ბუნებრივია, მანამდე არსებულ ლექსიკონებზე დაყრდნობით შეარჩია ბრიტანულ ინგლისურში გავრცელებული სიტყვა rusk:

1. A light, dry biscuit or piece of twice-baked bread, especially one prepared for use as baby food;
2. Twice-baked bread used in foods such a sausages, and formerly as rations at sea (ორივეგან ხაზგასმულია „ორჯერ გამომცხვარი პური“. „პეჩენია“ არცერთი ქვეყნის კულინარიაში ორჯერ არ ცხვება ანუ ასე „გაგება“ არსებითი ლინგვისტური შეცდომაა, რაც გამოწვეულია rusk-ის ორგვარი მნიშვნელობის თავსმოხვევა-კალკირებით ქართულში).

ქართულიდან ინგლისურად თარგმნისას, ლექსიკოლოგმა გამოიყენა პირველი მნიშვნელობის მეორე ნაწილი (piece of twice-baked bread) და მეორე მნიშვნელობა მთლიანად, რადგან სწორედ ის სჭირდებოდა – „ორჯერ გამომცხვარი პურის ნაჭერი“, ხოლო პირველი ნაწილი (a light, dry biscuit – „მსუბუქი, მშრალი ნამცხვარი ანუ „პეჩენია“) მართებულად უგულებელყო. ასე დამკვიდრდა (გავსახაგ – სწორი ფორმით) ორცხობილას ქართულიდან ინგლისურად თარგმნა rusk-ის სახით.

გარკვეული დროის შემდეგ, რაც ორ-სამ ათეულ წელიწადს მოიცავს მხოლოდ, ინგლისურიდან ქართულად გადმოტანისას გაჩნდა ყოვლად მიუღებელი შეცდომა: „პეჩენიის“ ქართულ შესატყვისად ახალმა ლექსიკონმა „ორცხობილა“ გამოიყენა (ანუ ინგლისური სიტყვის rusk მნიშვნელობის პირველი ნაწილი, რომელიც თანამედროვე ბრიტანულ და ამერიკულ ლექსიკაში, ფაქტობრივად, დაკარგულია და ნაკლებად გამოიყენება). rusk არის ან biscuit („პეჩენია“), ან piece of twice-baked bread (ორცხობილა), მაგრამ ქართული ტერმინი „ორცხობილა“ არ არის

rusk-ის იდენტური და არასდროს ისტორიულად ქართულ ენაში „პეჩენიას“ სინონიმს არ წარმოადგენდა „სუხარი“ 2006 წლამდე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნებისმიერ რუსულ-ქართულ ლექსიკონში, რომელშიც გადავამოწმე, რუსული სიტყვის печенье ქართულ შესატყვისად მოცემულია „ნამცხვარი“. საქართველოში ათწლეულების განმავლობაში საყოველთაოდ ცნობილი, უგემრიელესი „ნუშის ნამცხვარი“ ბრიტანულად almond biscuit და ამერიკულად almond cookie გახლავთ. შესაბამისად, ბრიტანული ტერმინი biscuit და ამერიკული cookie ქართულად უნდა გადმოვიტანოთ როგორც „ნამცხვარი“; ასევე, rusk-იც იმ იშვიათ (ისტორიულ) შემთხვევაში, როდესაც სიტუაციურად იგულისხმება „პეჩენია“ და არა – „სუხარი“.

ბოლო დროს „აპრობირებული ლინგვისტური გამოცდილების“ გათვალისწინებით, აგრეთვე მიზანშეუწონლად მიმაჩნია ბარბარიზმების „პეჩენია“ (ნამცხვარი), „პეროვი“ (დვეხელი), „ქაში“ (ფაფა) და ა.შ. ოფიციალურად დაკანონება ქართულ ენაში, იმ საბაბით, რომ ეს სიტყვები უკვე დიდი ხანია ფართოდაა გაერცვლებული ზეპირმეტყველებაში. მართალია, ეს გაცილებით მსუბუქი გადაცდომა იქნება, ვიდრე „ორცხობილას“ მნიშვნელობის გაიგივება „პეჩენიასთან“ და, შედეგად, „ორცხობილას“ არა მხოლოდ ენათმეცნიერული, არამედ კულინარიული კუთხითაც არასწორი გამოყენება: ამ ორ სიტყვას ხომ აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო როგორც გემოს, ისე ენდოკრინოლოგიის თვალსაზრისით. ნამცხვარში (სამარხვო ვარიანტის ჩათვლით), ჩვეულებრივ, გაცილებით მეტი კალორიაა (ცხიმსა და შაქარზე რომ არაფერი ვთქვათ), ვიდრე ორცხობილაში (რომლის დიეტური ვარიანტებიც მრავლადაა). ლინგვისტურად მათი გაიგივება, სამკურნალო კვების რეჟიმის დარღვევასა და

ჯანმრთელობის პრობლემის გამწვავებას გამოიწვევს პაციენტში.

ჩემს მიერ ბიბლიოგრაფიაში მითითებული ლექსიკონების გაცნობაზე დროის დახარჯვის გარეშე, გუგლის საძიებო სისტემაში შეგიძლიათ აკრიფოთ rusk, biscuit, cookie და ფოტოებს დააკვირდეთ თვალსაჩინოებისათვის. არაფრის ახსნა-განმარტება ან დამტკიცება საჭირო აღარ იქნება. თვალნათლივ დაინახავთ და წამსვე ირწმუნებთ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში დაფიქსირებულ უზუსტობას ამ ტერმინებთან დაკავშირებით.

ვფიქრობ, რუსული ბარბარიზმებისგან ქართული ენის გაწმენდა-დაცვის პროცესი კარგა ხნის წინათ უნდა დაწყებულიყო. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ბალავრად წმინდა ილია მართალმა ხომ მშობლიური ენა დაგვისახა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?... ენა სამდთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა; მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. სიმბოლურია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის (26 მაისი) აღნიშვნას წინ უსწრებს დედაენის დღე (14 აპრილი). არაერთი მცდელობის მიუხედავად, საფუძვლიანი და შედეგიანი პროცესი ჯერ კიდევ არ დაწყებულა საქართველოში, მიუხედავად საგანმანათლებლო რეფორმების სიჭრელისა. ეს გიგანტური პრობლემა ისეთ მცირე სიტყვაშია ასახული, როგორცაა „ნამცხვარი“.

არც ისე დიდი ხნის წინათ, „პენენიას“ ქართულად „ნამცხვარი“ ერქვა. შემდეგ ბარბარიზმმა დაჩაგრა, მისი მნიშვნელობა ფართო აუდიტორიის გონებაში გაფერმკრთალდა და ზოგადად საკონდიტრო ნაწარმის კრებით სახელად მოგვეკვლინა. ეს პროცესი უფრო გასაგები რომ

იყოს, ლინგვისტური ტრანსფორმაციის საყოველთაოდ ცნობილ ნიმუშს შეგახსენებთ: „კაბა“ ქართულ ენაში „სამოსელს, ტანსაცმელს“ („მას ტანსა კაბა ემოსა“ – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“) ნიშნავდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, მხოლოდ ქალის სამოსის აღმნიშვნელი გახდა. ასეთ დეტალებზე დაფიქრების გარეშე, არაერთხელ გამხდარა ინტერნეტსივრცეში საუბრის თემა, ძველად ქართველი კაცები როგორ თავისუფლად ატარებდნენ „კაბას“ და ეს ნორმად მიაჩნდათ. მცდარი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ კი ქართულ ხალხურ ცეკვებში შემორჩენილ ჩოხაზე აპელირებენ. ეს სრული აბსურდია, მაგრამ ლინგვისტური შეუსაბამობებით გადავსებულ ქართულ ონლაინ რეალობას, ჩვენდა სავალალოდ, ვერაფერი ეშველება მშობლიური ენის კარგად მცოდნე, ერთი მუჭა ქართველობის აღშფოთების მიუხედავად. ქმედით შედეგებს მოგვიტანს სათანადო ლექსიკონების დახვეწა და აქტიურად გამოყენება.

თანამედროვე რეალობაში მშობლიური ენის დაცვის პრობლემა იმდენად გლობალურია, წარმოდგენაც გაუჭირდება რიგით მოქალაქეს. გამოსავალი ერთია: ადგილობრივ, ანუ საქართველოს საზღვრებში სჯობს, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო ენის დაცვაზე ყურადღების ორიენტირება.

რასაც შეიძლება საკუთარი ძალებით ვუშველოთ, ეს „ბგერითი პარალელიზმებია“ (false friends). ინგლისურსა და ქართულ ენას არამხოლოდ გასტრონომიული ტერმინების შემთხვევაში სჭირს მოცემული ლინგვისტური მოვლენა. თუმცა, აქ სწორედ კულინარიულ ტერმინებთან დაკავშირებით მაქვს საკითხი შესწავლილი და შემოთავაზებული. მაგალითად, ბრიტანული სიტყვა biscuit („ბისკიტი“) ზუსტად ისე უღერს, როგორც ქართული „ბისკვიტი“, მაგრამ ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული საკვებია.

საკონდიტრო და გასტრონომიული თვალსაზრისით, ეს იოლად მტკიცდება; პრობლემა თავს ლინგვისტურ დონეზე იჩენს: biscuit მშრალი ნამცხვარია („პეჩენია“) და იგი ბრიტანელების ისეთი სიამაყის საგანია, რომ დაუშვებელია ენათმეცნიერული ლაფსუსით მისი დაკნინება. biscuit-ის ერთხელ გასინჯვის შემდეგ, მას ვერანაირად გააიგივებთ ქართულ „ბისკვიტთან“ (ზოგადად, ძალზე ქმედითია დეგუსტაციის ნაწილი გასტროლექსიკონზე მუშაობისას). რაც შეეხება ქართული „ბისკვიტის“ გადათარგმნას ინგლისურად, ჯერ „ბისკვიტი“ (layers for a layer cake) და „კეკსი“ (sponge cake) უნდა განვასხვაოთ, რომ ბრიტანელი კულინარების მიერ შემოთავაზებული ტერმინები მართებულად გამოვიყენოთ. კულინარიული ტექსტის ქართველ თარჯიმანს, მინიმუმ, გასინჯული მაინც უნდა ჰქონდეს ინგრედიენტები და კერძები, საკუთარი ხელით გაკეთებულ-გამოცდილი თუ არა, რადგან კულინარიული ლინგვისტიკა სპეციფიკური სამეცნიერო კვლევითი სფეროა.

როდესაც არსებობს ზუსტი ქართული სიტყვა „ნამცხვარი“ ქართული ფუძით: ცხობა > გამოცხობა > ნამცხვარი (რაც ადეკვატურია ამერიკულ ინგლისურში cookie-ს ლექსიკური დინამიკისა), დაუშვებელია მისი როგორც მორიგი ბარბარიზმით („პეჩენია“) ჩანაცვლება, ასევე, ორცხობილას მცდარ „სინონიმად“ გამოყენება. ამერიკელების არ იყოს, that's the way the cookie crumbles (სიტუაცია ასეთია და, რაგინდ არასასურველი იყოს, მაინც უნდა შეგუო).

მსგავსი ლაფსუსი არაერთი და ორია. სწორედ მათგან ჩვენი უნიკალური, უძველესი და უზადო, „სადღეგრძელოს ენის“ დაწმენდას ემსახურება მოცემული სტატია. „ქართველი თავმომწონეა, აქვს კიდევ უფლება თავმომწონებისა: ენა ქართული უგენიალურესი ქმნილებაა

ენათა შორის. მისი ფერსვეული დენა აცნაურებს უთვალავ საიდუმლოთ მსოფლიოისა“, ასე მიაჩნდა მრავალენობრივად უგანათლებულეს მწერალსა და მოაზროვნეს, გრიგოლ რობაქიძეს.

ქართულ კულინარიულ რეალობაში შემოდებულ-დამკვიდრებული სიტყვები შევავროვე, მათი წარმომავლობა შევისწავლე, ლათინური სახელწოდებების გამოყენებით თითოეულის მნიშვნელობა დავაზუსტე (სადაც ეს მეცნიერულად შესაძლებელი, თან, სასურველი იყო) და ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესების მიხედვით გავასწორე ორთოგრაფია. ჩნდება კითხვა – რატომ ათი ენიდან ქართულ ენაში დამკვიდრებულ, ახალშემოსულ თუ ამჟამად შემომავალ ტერმინთა სიტყვის კონა? მიზეზი პრაგმატული და ელემენტარულია: მომხმარებელი (პროდუქციის შემომტანი იქნება ეს, რეალიზატორი, კულინარი თუ მყიდველი) დროს ვერ დაკარგავს იმის გარკვევაში, რომელ ენაზე აწერია მისთვის საჭირო პროდუქტს სახელწოდება, ან ქართულად როგორ უნდა წააწეროს სახელმწიფო ენის ნორმების დაურღვევლად. ეს საკითხი ენათმეცნიერების გასარკვევია. ამავე დროს, ცალ-ცალკე, სხვადასხვა ენისთვის შექმნილი ლექსიკონების გამოყენება ფართო საზოგადოებისთვის ოდნავ დამაბნეველია, თუ კონკრეტულმა პირმა დანამდვილებით არ იცის, რომელ ენაზე აწერია სახელწოდება პროდუქციას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნახევარ წუთს დაკარგავს და ამ საკითხს გაარკვევს მწარმოებელი ქვეყნის მითითების პოვნით, მისთვის მაინც უფრო ხელსაყრელი იქნება ერთ წიგნად თავმოყრილ მრავალენოვან სახელსახეებაში ორიენტირება, ვიდრე სხვადასხვა ლექსიკონში ქექვა ამა თუ იმ პროდუქტის შემთხვევაში: ძალიან მარტივად, ანბანურად მოძებნის ტერმინს. ამ პროცესს ის აიოლებს, რომ ლათინური ალფაბეტი დაედო საფუძვლად გასტროლექსიკონში

გამოყენებულ ყველა უცხო ენას. ამას გარდა, ამ ენათა უმეტესობაში მრავალი ტერმინი დინამიურადაა გადაჯაჭვული.

ცხადია, უმდიდრეს, მშობლიურ ქართულ ენასა და „ენციკლოპედიურ გასტროლექსიკონში“ შესწავლილ ათ უცხო ენაში (ძირითადად, ინგლისური, იტალიური, ესპანური, თურქული, ფრანგული, გერმანული, ინდური, უნგრული, არაბული, იაპონური) ყველა ტერმინსა თუ სიტყვას ვერ მოიცავს ერთი ადამიანის მიერ მხოლოდ ორი ათეული წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო ძიება. ვერც სამომავლოდ ლინგვისტურ შეცდომებს აღმოფხვრის წინასწარ ვერანაირი წიგნი. თუმცა, ამ შრომატევადი კვლევის შედეგს საგრძნობლად შეუძლია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, გაწმენდა-გასუფთავების ეროვნულ მისიაში თვალსაჩინო წვლილის შეტანა.

გასტრონომიული ლექსიკონები ძალზე მცირე რაოდენობით არსებობდა 2010-იან წლებამდე მსოფლიო მასშტაბით. ამაში იოლად ვრწმუნდებით ბიბლიოთეკებში, ონლაინ საცავებსა თუ წიგნის მაღაზიებში მათი ძებნის შემდეგ: სულ რამდენიმე გამოცემაა და მხოლოდ უკანაკნელი ათწლეულის განმავლობაში მიექცა ყურადღება ამ საკითხს. ქართულ რეალობაში, 2022 წელს გამოქვეყნებული „ენციკლოპედიური გასტროლექსიკონი“ პირველი მცდელობაა ენათმეცნიერული კვლევის საფუძველზე დადგენილი პრაქტიკული ღირებულების მქონე ნაშრომის შექმნისა. შესაბამისად, იგი გამოადგება როგორც სასურსათო, კულინარიულ და გასტრონომიულ ბიზნესში ჩართულ ქართველ მომხმარებლებს, ისე ქართველოლოგებს, ფილოლოგებს, ენათმეცნიერებსა და ისტორიკოსებს. აღნიშნული ნაშრომი სპეციალური დანიშნულების ენის შექმნისაკენ გადადგმული პირველი

წარმატებული ნაბიჯია იმ სამეცნიერო-პრაქტიკულ ასპარეზზე, რაც აუცილებელია კულინარიული ლექსიკის სტანდარტის შემუშავებისათვის ქართულ რეალობაში.

კულინარიულ ლინგვისტიკაში ქართული ენის წინაშე არსებული პრობლემის მასშტაბურობის სრულად აღქმა მხოლოდ რამდენიმე ნიმუშით ძნელია. პრაქტიკული პრობლემების შესწავლას ინტერდისციპლინური და გუნდური მიდგომა ესაჭიროება, რაც გულისხმობს გამოსავლის ძიებას ენათმეცნიერთა, ბიზნესმენტა, ეკონომისტთა და სამართალმცოდნეთა ერთობლივი ძალეებით.

საქართველო არაა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც მსგავს პრობლემათა მოგვარება ესაჭიროება. ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნამდვილად გამოგვადგება აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც არალათინური ანბანისა და ეროვნული ტერმინების შემუშავების პრობლემა გარკვეულწილად დაძლიეს. განსაკუთრებით ქმედითი იქნება იაპონისაა თუ ინდოეთის გამოცდილება. ამ ორმა ქვეყანამ ქართული ენისა და გასტრონომიული რეალობის მსგავსი სიტუაცია ისე გამოიარა, რომ საერთაშორისო საზოგადოებასა და ბიზნესსაც მოერგო: საკუთარი ენიდან წარმატებით დაამკვიდრა ეროვნული კულინარიული ტერმინები და მეტ-ნაკლები წარმატებით გადმოიღო ტერმინები უცხო სამზარეულოებიდან.

სამოგზაურო ვლოგებისა და ინფლუენსერების წყალობით, ინგლისურ ენაში უკვე ფეხი მოიკიდა სიტყვებმა: ხინკალი, ხაჭაპური, ლობიანი, თამადა. თუმცა, მართლწერის საკითხში პარალელიზმები ფიქსირდება, რადგან არ არსებობს ქართული კულინარიული ტერმინების ლათინიზირებული ფორმების ოფიციალური სტანდარტი. მაგალითად, khinkali და hinkali ერთდროულად

არსებობს. ზოგადი ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის მხრივ უაღრესად მნიშვნელოვან საქმიანობას აწარმოებს საქპატენტი, თანაც, ყოველმხრივ მართებულიად.

ქართული კულინარია ქვეყნის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაა და მას განსაკუთრებული სიფრთხილით სჭირდება მოპყრობა. ერთი შეხედვით, khinkali სტანდარტული წესებითაა ჩაწერილი და უპირატესობა უნდა მიენიჭოს. თუმცა, ბგერა „ხ“ დასავლური მასულიტორიისთვის უმეტესად უცხოა და მისი სწორად გამოთქმა ბევრს უჭირს. საბოლოო ჯამში, ტერმინს წარმოთქვამენ როგორც „ქინქალი“, რაც ქართული ყურისთვისაც კი ნაკლებაც ჰყავს ორიგინალს. ამ შემთხვევაში თურქულ ენასთან ტრადიციული გამოცდილების გამოყენება („ხოფა“ – Hopa), ან ზოგიერთი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნის ანალოგიური დამოკიდებულება გამოადგება ქართულ ენას: „ხ“ ჩავანაცვლოთ „ჰ“ ბგერით ქართული ტერმინის ლათინიზირებისას, რადგან „ჰინკალი“ გაცილებით ახლოსაა პირველწყაროსთან. იგივე გადაწყვეტილება წარმატებული იქნება ტერმინისთვის „ჩოხა“ თუ მის ლათინიზირებული ვარიანტად გვექნება „ჩოჰა“ (choha) და არა – „ჩოქა“ (chokha).

მართალია, მოგვიწევს „ჰ“ და „ხ“ ბგერების გაერთიანება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ კულინარიაში „ჰ“ ბგერის მქონე ტერმინი, ფაქტობრივად, არ გვაქვს, ასეთი გადაწყვეტილება ორაზროვნებას არ გამოიწვევს. უმთავრესია, ბალანსი და პრაგმატიზმი. გააზრებული არჩევანი, რომელიც გამყარებულია გამოყენების ხელმძღვანელობით, სტანდარტიზებული ორთოგრაფიითა და სწორ მასალაზე წვდომით, მოსპობს ამჟამად არსებულ მავნე

ტენდენციების, რაც ბარბარიზმებს, პარალელურ ფორმებსა და კალკებს უფრო ამკვიდრებს, ვიდრე არსებულ სწორ ტერმინებს. ასალი ქართული ფორმები კი უნდა შეესაბამებოდეს ენობრივ ნორმებს არა მექანიკურად, არამედ ლექსიკურად და უღერადობრივად. ორთოგრაფიული და განმარტებითი ლექსიკონების მუდმივად შევსება, გასწორება და ტერმინებზე ზრუნვა აუცილებელი მოთხოვნაა კატასტროფული შედეგის თავიდან ასაცილებლად.

ისიც უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ყველა უცხოური კულინარიული ტერმინი არ საჭიროებს იძულებით ჩანაცვლებას. მაგალითად, ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული „ბეზე“ მოულოდნელად გადაიქცა „მერენგად“, „ჟაკეტი“ – „კარდიგანად“ და ა.შ. ამგვარი ცვლილებების აუცილებლობა ქართულს არ ჰქონდა. სიფრთხილე იმის გამოცაა საჭირო, რომ თავად ევროპულ თუ აზიურ ენებშიც არ არსებობს ხოლმე ერთიანი, სტანდარტული სისტემა კულინარიულ ტერმინებთან დაკავშირებით. მაგალითად, ბლინი, ოლადები, კრეპი თუ მაჭკატები – რომელი ტერმინი როდის გამოვიყენოთ. ასეთი ნიუანსების გათვალისწინება უადრესად მნიშვნელოვანია, რისთვისაც სტანდარტიზაციის პროცესში კულინარიის ისტორიკოსთა მონაცემების გამოყენება დაგვჭირდება.

ლინგვისტური ლექსიკის შემუშავება მხოლოდ პირველი ეტაპია მოცემული პრობლემის მოგვარების ხანგრძლივ გეგმაში. სამეცნიერო მუშაობის გარდა, ინდუსტრიულმა ასოციაციებმა, სავაჭრო პალატებმა, აგროსასურსათო გაერთიანებებმა და ტურიზმის საბჭოებმა უნდა ითანამშრომლონ ლინგვისტებთან, კულინარიულ ექსპერტებთან, ტერმინოლოგებთან და საქაატენტთან, რათა შეიქმნას მარავალფუნქციური

ტერმინოლოგიური მონაცემები: უახლესი ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სპეციალური დანიშნულების ენის (SPL) ლექსიკონები, ეროვნული ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზა (TDB) და რესურსების სახელმწიფო ქსელი სრულფასოვანი სტანდარტიზაციისათვის.

ლინგვისტური მონაცემები უნდა შეიქმნას მრავალფეროვანი მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით: შეფ-მზარეულებისთვის, მცირე მეურნეობებისთვის, მსხვილი ბიზნესებისთვის, ექსპორტიორებისა და იმპორტიორებისთვის, მარეგულირებლებისთვის, პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელებისთვის, მეცნიერ-მკვლევარების, პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის.

უნდა მოხდეს გამოყენების მთელი სპექტრის გათვალისწინებაც: ტერმინთა გამოქვეყნებული სტანდარტი (საკაპატენტი), ელექტრონული კონტენტი, სავაჭრო სისტემები, ადამიანის ენის ტექნოლოგიები (HLT) და ტერმინოლოგიის მართვის სისტემები (TMS).

დასკვნით ეტაპზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კულინარიული ლინგვისტიკისთვის შემუშავებული სტანდარტული ტერმინოლოგიის ღიად გამოქვეყნებული, ხელოვნული ინტელექტის მიერ იოლად წასაკითხი ტერმინოლოგიური მონაცემების ციფრული ადაპტაცია. ეს ფინალური ეტაპი უზრუნველყოფს ტერმინების ინტეგრაციას საიტებთან, საძიებო სისტემებში, ეტიკეტების მონაცემთა ბაზებთან და სასწავლო პლატფორმებთან, რის შედეგადაც გაუმჯობესდება როგორც ადამიანის, ისე მანქანური წვდომა ქართული კულინარიული ლინგვისტიკის სტანდარტიზებულ ბაზასთან და სათანადო ცოდნის გავრცელებას შეუწყობს ხელს გლობალურად.

კულინარიული ბიზნესი ორმაგ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, კონტენტის შემქმნელია და, მეორე მხრივ, სტანდარტის გამომყენებელი. ყველა მენიუ, პროდუქტის ეტიკეტი, საიტი, კულინარიული წიგნი თუ სახელმძღვანელო დარგობრივი კომუნიკაციის ნაწილია და უშუალო ზეგავლენას ახდენს ქართულში სპეციალური დანიშნულების ენის ჩამოყალიბებაზე – აძლიერებს და ამდიდრებს, ან ასუსტებს და აღარიბებს მას. ამიტომ, ყველა ეტაპის წარმატებით განხორციელების შედეგად კულინარიული ლინგვისტური სტანდარტის დადგენა ფინალური ეტაპი არაა. ამის შემდგომ, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს შემუშავებული ლექსიკის გავრცელება-დამკვიდრებაზე. პირველ რიგში, სკოლებში, ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში, პროფესიულ სასწავლებლებსა თუ სერტიფიცირებულ კურსებზე ლიცენზირებულ პედაგოგებს უნდა დაევალოთ მოსწავლეთა ტერმინოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა. კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ მუშაობა პროფესიული ტერმინების სათანადოდ გამოყენებით როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ასეთია პრაქტიკული პასუხისმგებლობა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ტურიზმის, გასტრონომიის, კვების ობიექტებისა და მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელმა ინდივიდებამ თუ კომპანიებმა უნდა გამოიყენონ სტანდარტიზებული ტერმინოლოგია კონტრაქტებში, ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და მარკეტინგულ ტექსტებში.

პოლიტიკური ინსტრუმენტები და ინსტიტუციური ღონისძიებები სტანდარტის დაცვას უზრუნველყოფს. ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკა უნდა იყოს მრავალენოვანი და ინკლუზიური, შეძლოს

პრიორიტეტების დადგენა, დააფინანსოს ლინგვისტური პროექტები და გონივრულად განსაზღვროს ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის დაცვაზე XXI საუკუნის საქართველოში ანუ კონკრეტულად ვინ შეამოწმებს, გააახლებს და გამოაქვეყნებს დარგობრივ ტერმინებს საჭიროებიდან გამომდინარე. ეს ბოლო საკითხი განსაკუთრებით საფრთხილოა, რადგან როგორც გამოკვლევამ ცხადყო, სახელიანი ენათმეცნიერები ცალსახად არ არიან საკმარისი ცოდნით აღჭურვილნი კულინარიული ლინგვისტიკის პრობლემათა გადასაჭრელად. პირიქით, არსებული ცდომილებათა მოგვარების ნაცვლად, ახალი შეცდომები დაამკვიდრეს. ვფიქრობ, აუცილებელია რამდენიმე დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრის ჩართულობა, რომელთაც მუდმივი კავშირი და ანგარიშგება ექნებათ შესაბამის სამთავრობო სტრუქტურასთან (სავარაუდოდ, განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და საქპატენტის ერთობლივ კომისიასთან, რომელშიც სასურველი იქნება ლინგვისტური განათლების მქონე კულინარების უშუალო მონაწილეობა).

საჯარო და კერძო სექტორებს შეუძლიათ ერთობლივად დააფინანსონ ტერმინოლოგიური ინფრასტრუქტურის სიჯანსაღეზე მომუშავე ჯგუფების საქმიანობა. ეს ორი მხარე მუდმივად შეძლებს როგორც თანამშრომლობას, ისე ურთიერთკონტროლს, რაც გაზრდის პრაქტიკული შედეგის ხარისხს. კომპანიები საკუთარ წვლილს შეიტანენ დარგის ექსპერტიზაში, ხოლო მკვლევარები გააკონტროლებენ მათ მიერ სტანდარტების გამოყენების მართებულობას ყოველდღიურ ბიზნესპროცესებში.

კულინარიული ლინგვისტიკა და დარგის ტერმინოლოგია მდგრადი განვითარების ბერკეტებია. ვასტრონომიაში ძლიერი ქართული სპეციალური დანიშნულების ენა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს, მწარმოებლებისა და შეფ-მზარეულების წარმატებას გაზრდის ადგილობრივი ტურიზმის შემთხვევაში, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე პოზიციის გამყარებაში დაეხმარება. გაიზრდება ციფრული ჩართულობა და გლობალურ ბაზრებზე მონაწილეობის ეფექტურობა. სტანდარტის არსებობის შემდეგ, ქართული ბიზნესი უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი სათანადო თარგმანსა და ტერმინოლოგიური სიზუსტის დაცვაზე, გამოყენებასა და პროულარიზაციაზე. ამას სახელმწიფო ისევე გააკონტროლებს, როგორც ქართულენოვან აბრებზე მოთხოვნას. ქართული ენა აღარ დაბინძურდება შემთხვევითი ბარბარიზმებით, ზედმეტი ნასესხობებითა თუ პარალელური ფორმების სტიქიურად გამოყენებით, როგორც დღეს ხდება. ქართული კულინარიული ლინგვისტიკა გახდება ფესვმაგარი კულტურული ასპექტით. ამასთან, ციფრულად შემზადებული ხვალისდელი დღისთვის.

დღეს, როდესაც ყველგან და ყველაფერში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აქტიურად მკვიდრდება, სხვაგვარად ვერ მოხერხდება ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვა. მხოლოდ ამ ყოველივეს განხორციელების შემდეგ გვექნება მორალური უფლება 14 აპრილი აღვნიშნოთ, რადგან მოცემული პრობლემა ისეთივე მწვავეა, როგორც 1978 წელს იყო კონსტიტუციიდან სამ უპირფასეს საუნჯეთაგან ერთ-ერთის გაქრობის საფრთხე. მაშინ მთელი ერი გაერთიანდა და გადაარჩინა წინაპართა

„ხელის-ხელ საგოგმანები“ დანატოვარი. იდენტური სიმწვავის საკითხია კულინარიული ლინგვისტიკის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შემუშავება ქართული ბიზნესის მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

ლიტერატურა □ References

1. კიკვაძე ზაალ (მთარგმნელი) (2021). ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო: ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და ენობრივ საზოგადოებაში დანერგვა (2005). მოამზადა ინფოტერმმა, პარიზი: იუნესკო, CI-2005/WS/4; თბილისი: თსუ არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი და საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახ. ტერმინოლოგიის ასოციაცია. // International Information Centre for Terminology (Austria) (2005). Guidelines for terminology policies: formulating and implementing terminology policy in language communities (CI.2005/WS/4). Paris: Infoterm <<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000140765>>
2. დედაბრული ხელი – ტერმინის სახელწოდება მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ეს დამწერლობა, ძირითადად, ქალებს შორის იყო გავრცელებული. „დედაბრული ხელის“ პირველი ზოგადი დახასიათება 1878 წელს გამოაქვეყნა დიმიტრი ბაქრაძემ. ეს ტერმინი პირველად სიმონ ჯანაშიამ გამოიყენა 1946 წელს. 1949 წელს გამოქვეყნდა თამარ ხაჯომიას ნაშრომი „ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე“. მეცნიერთა ნაწილის აზრით, მეოთხე ქართული დამწერლობის ჩამოყალიბება გამოიწვია XVI საუკუნის მეორე ნახევარში სამცხე-საათაბაგოში ოსმალობის დამყარებამ და შემდგომ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მუსულმანიზაციის ანუ „გათათრების“ პროცესმა. დღეისთვის შემორჩენილი არტეფაქტები XIX საუკუნით თარიღდება. ქობულეთის მუზეუმში დაცულია 7 მეტრის სიგრძის გრაგნილი „კინტრიშული კარაბადინი“, რომელზეც მოცემულია დედაბრული ხელით შესრულებული წარმართული ლოცვები და სხვადასხვა სამკურნალო

რეცეპტი. დედაბრული ხელით შესრულებულია პირადი წერილები, ისტორიული საბუთები. შემორჩენილია ამ დამწერლობით შესრულებული წერილი თურქულ ენაზე. სიტყვები არაა დაშორებული. დედაბრული დამწერლობა კუთხოვანი მოყვანილობის მხედრულ ასოებს ჰგავს. ამ ანბანში 32 ასო შედის. ცალკეულ შემთხვევაში მხედრულ ნაწერ ტექსტში გამოყენებულია ნუსხური (უ, ი ან სხვა) ასოები. ზოგიერთი ასოს (ა, გ, ე და სხვ.) მოხაზულობა XI საუკუნის ადრეულ მხედრულ მოხაზულობებს წააგავს. [იხ.: ხახუტაიშვილი მზია (2013). „დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზი. „ქართველური მემკვიდრეობა“, №17, გვ. 389-395. // დედაბრული ანბანი (11 ნომბერი, 2018). ტელეკომპანია „პირველი არხი“ <<https://1tv.ge/video/dedabruli-anbani/>>]

3. მონტერუ ლობატუ, ჟოზე (1965). ყვითელი კოდალას ორდენი. თარგმნა ელენე ჭავჭავაძემ. თბილისი: „ნაკადული“.
4. დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი = A Comprehensive Georgian-English Dictionary: ორტომეული (2006), შემდგენელი: რუსუდან ამირეჯიბი, შუქია აფრიდონიძე, დონალდ რეიფილდი (მთავარი რედაქტორი) და სხვ. ლონდონი: „გარნეტი“. ISBN 0-9535878-3-5 <nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=46>
5. მოლქსიკონება, მოლქსიკონებული – ირაკლი ნადარეიშვილის მიერ შემოღებული ტერმინებია და სიტყვისადმი სწორედ ისეთ ზერეულ დამოკიდებულებას ნიშნავს მისი თარგმანის დროს, როგორც აღვწერე.
6. დვალიშვილი შოთა (2018). ქართველი გურმანი = Georgian gourmet = Грузинский гурман: ქართული და საქართველოში პოპულარული კერძების რეცეპტები სამ ენაზე. თბილისი: „ლაბირინთი“.
7. ჭავჭავაძე ილია (5 ნომბერი, 1861), „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შაღვას ძის ერისთავის კასლოვიდგან „შემლილის“ თარგმნაზედა“, ქუთაისი <nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/oriode_sityva.htm>
8. რუსთაველი შოთა (1189-1207). ვეფხისტყაოსანი <https://drive.google.com/file/d/OBwCMYTECcjPnTGk3WjY0VUpaMTg/view?resourcekey=0-B-tEOPzvFUx-WOGWIMV_EA>
9. საქართველოს კონსტიტუცია (29 ივნისი, 2020), მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი: საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში –

აგრეთვე აფხაზური. სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით

<<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>

// საქართველოს ორგანული კანონი

<<https://matsne.gov.ge/ka/document/download/90052/41/ge/pdf>>

10. გპპრ000ი პარალელზმები (ინგლ. false friends „ცრუ მეგობრები“) – ასე ვუწოდებ ბილინგვურ ჰომოფონებს (ორ ან მეტ ენაში ჟღერადობით მსგავს სიტყვებს, რომლებსაც განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ). ანალოგიურია ბილინგვური ჰომოგრაფები (ორ ან მეტ ენაში ვიზუალურად მსგავსი სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობებით). სხვადასხვა ენაზე ტერმინების გამოყენება-თარგმანის დროს ეს „ცრუ მეგობრები“ სიტყვის სწორად გამოყენებას აფერხებენ.
11. ასათიანი ლადო, „ქართული ენა“ (ლექსი)
<nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/qarTuli%20ena.htm>
12. რობაქიძე გრიგოლ (აპრილი, 1952). რა უნდა აგონდებოდეს ქართველს. ჟენევა.
13. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ – ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები უცხო წარმოშობის საკუთარ სახელთა და სახელწოდებათა ქართულად ჩაწერისათვის
<sakpatenti.gov.ge/ka/page/256/>
14. კვარაცხელია მამუკა (2009), ქართულ-ინგლისურ-რუსული საფეხბურთო სახელსახება (ლექსიკონი), თბილისი: საფეხბურთო სააგენტო „პრო სპორტ ინტერნაციონალის“ გამოცემა.
15. Nadare, Maia (2022). *Encyclopedic GastroDictionary: With over 3,800 entries in ten languages, besides the scientific name in Latin, and Georgian translation and transliteration*. Tbilisi: Publishing House Universal.
16. Ibid.
17. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ <sakpatenti.gov.ge/ka/page/256/>
18. რუსთაველი შოთა (1207). ვეფხისტყაოსანი [პროლოგი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, / ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“]
<<https://poetry.ge/poets/shota-rustaveli/poems/9760.vafxistkaosani-dasawkisi.htm>>

19. აფრიდონიძე შუქია, გავუა იამზე, ვაშაკიძე თამარ და სხვ. (ავტ.-შემდგ.) (2011). სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი: „მერიდიანი“.
20. ბაგრატიონი იოანე (1986). საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი: „მეცნიერება“.
21. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1985). თბილისი.
22. გვარჯაღაძე თამარ და ისიდორე (1975; 1979). ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი.
23. გოგიანიძე გიორგი (2011). ლექსიკონი: ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები. თბილისი: „მერიდიანი“.
24. გრიშაშვილი იოსებ (1997). ქალაქური ლექსიკონი. გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა, თბილისი: „სამშობლო“ <nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=30>
25. დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი = A Comprehensive Georgian-English Dictionary: ორტომეული (2006), შემდგენელი: რუსუდან ამირეჯობი, შუქია აფრიდონიძე, დონალდ რეიფილდი (მთ. რედ.), სხვ. ლონდონი: „გარნეტი“ <nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=46>
26. ელერდაშვილი ალექსანდრე (2006). უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (3 ტომად). პირველი გამოცემა, თბილისი: „ფანტაზია“.
27. ზედგინიძე გიორგი (2014). ჯავახური ლექსიკონი. რედაქტორი – ვლადიმერ ზედგინიძე, თბილისი: „საუნჯე“.
28. თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ. (1968). ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“.
29. კობახიძე ა., ჭაბაშვილი მ. (რედ.) (1989). საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი: ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
30. კობახიძე ა., ჭაბაშვილი მ. (რედ.) (1989). უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა.
31. მელაძე გიორგი, ხუნდაძე გელა (შემდგენელები), დავლიანიძე მაია (ასისტენტ-შემდგენელი) (2014). ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრი <<https://bio.dict.ge/ka/about/>>
32. კაუფმანი რაინერ (2018). ახალი ქართული სამზარეულო: საქართველოს წველილი მსოფლიო სამზარეულოში, თარგმნა ლელა გაბროშვილმა, თბილისი: „კარომედა“.

33. მაყაშვილი ა. (1991), ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
34. ნეიშანი, ალექსანდრე (1978). ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (მესამე გამოცემა). თბილისი: „განათლება“
<nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=17&t=dict&w1=%E1%83%90>
35. ნინუა ნარგიზა, ჯაფოშვილი ბელა, ბოჭორიშვილი ვერა (2013). საქართველოს თევზები. თბილისი: „წიგნიერი“.
36. ორბელიანი სულხან-საბა (1991). ლექსიკონი ქართული (I და II ტომი). თბილისი: „მერანი“.
37. ორბელიანი სულხან-საბა (1949). სიტყვის კონა: ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი: საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა <<https://archive.org/details/sulxan-saba/mode/2up>>
38. ფართო აბულყასემ (1998). სიტყვის კონა: უცხოური სიტყვების სპარსული შესატყვისების ლექსიკონი (ორტომეული). მეორე გამოცემა, თეირანი: „ასათირ“.
39. ფენრიხი ჰაინც, სარჯველაძე ზურაბ (1990). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
40. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული) (1985). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
41. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული) (1956-1964). აკად. არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.
42. ქოქოსაძე თ., გოგორელიანი ე., შონია ღ. (2008), საქართველოს მტკნარი წყლის ხერხემლიანი ცხოველების დასახელებათა ცხრაენოვანი ლექსიკონი, თბილისი.
43. ყაუხჩიშვილი სიმონ (1961). ლათინურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
44. ძოწენიძე ქეთევან (1974). ზემოიმერული ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“.
45. ჭაბაშვილი მიხეილ (1989). უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“.
46. ხაინდრავა-ბენიძე იზოლდა (შემდგ.) (2012). ქართულ-რუსულ-ინგლისური სასაუბრო. თარგმანი ქართულ-რუსულიდან: მანანა ლუღუშაური, ინგლისური სიტყვების ტრანსკრიფცია:

ლიკა რიგვავა, რედაქტორი: დიანა ტყეშელაშვილი, თბილისი:
„ცისნამი“.

47. Afthon'dou, Despoina (2005). *Greece – A Menu Guide for Travelers: An Indispensable Gastronomic Dictionary, Phrasebook, And Guide*. Bilingual Edition, Gremese.
48. Berkheiser, Kaitlyn (2018, March 9). Prawns vs Shrimp: What's the Difference? *Healthline* <[healthline.com/nutrition/prawns-vs-shrimp](https://www.healthline.com/nutrition/prawns-vs-shrimp)>
49. Colman, Louis (Ed.) (2015). *Alexandre Dumas' Dictionary of Cuisine* (First Edition). Edited, Abridged and Translated by Louis Colman, New York, NY: Routledge.
50. Fortin, François (Ed.), and Serge D'Amico (Ed.) (1996). *The Visual Food Encyclopedia: The Definitive Practical Guide to Food and Cooking* (First Edition). Macmillan Publishers.
51. Goldstein, Darra (2013). *The Georgian Feast: The Vibrant Culture and Savory Food of the Republic of Georgia*. University of California Press.
52. Harmsworth, Thomas (2003). *Gastronomic Dictionary: French-English*. Thomas Harmsworth Publishing Co.
53. Harmsworth, Thomas (2005). *Gastronomic Dictionary: Italian-English*. Thomas Harmsworth Publishing Co.
54. Hill, Harry (2008). *Gastronomic Dictionary: Portuguese-English*. Thomas Harmsworth Publishing Co.
55. Hoad, T. F. (Ed.) (1991). *The Concise Oxford Dictionary of English Etymology*. Oxford: The Clarendon Press.
56. Igoe, Robert S. (1983). *Dictionary of Food Ingredients* (Second Edition). Van Nostrand Reinhold Co.
57. Katz, Solomon H., and William Weaver (Eds.) (2003). *Encyclopedia of Food and Culture*. Charles Scribner's Sons.
58. *Kenkyusha's New Japanese-English Dictionary* (1991). Tokyo: Kenkyusha.
59. Kuljanishvili, Tatia, and Giorgi Epitashvili, Jörg Freyhof, et al. (2020). Checklist of the freshwater fishes of Armenia, Azerbaijan and Georgia. *Journal of Applied Ichthyology*. 36 (4): 501-514. <https://doi.org/10.1111/jai.14038>
60. *Larousse Gastronomique: The World's Greatest Culinary Encyclopedia* (2009). Librairie Larousse, Clarkson Potter Publishing. – 1216 pages.
61. Lessell, Colin B. (2021). *A Dictionary of Food in Spain: A Practical Guide to Menus, Dishes, Ingredients & Drinks Throughout, with over 2500 entries*. Suthsaexe, England: Samphire Press.

62. Lessell, Colin B (2021). *A Turkish Food Dictionary: A Traveler's Practical Guide to Menus, Dishes, Ingredients & Drinks, with over 2500 entries*. Suthsaexe, England: Samphire Press.
63. Mariani, John (1998). *The Dictionary of Italian Food and Drink* (First Edition). Broadway.
64. Marks, Gil (2010). *Encyclopedia of Jewish Food*. Wiley.
65. Mikhail, E. H. (2018). *Dictionary of International Culinary Terms*. Kindle Edition.
66. Neto, Nelusko 'Nelo' Linguanotto (2018). *Gastronomic Dictionary: Herbs & Spices and Their Recipes* (Kindle Edition). Editora Gaia.
67. *Webster's American English Dictionary* (2011). Federal Street Press.
68. *Oxford English Dictionary* (2013). Oxford University Press.
69. Piauton, Marilyn (2005). *France – A Menu Guide for Travelers: An Indispensable Gastronomic Dictionary, Phrasebook, And Guide*. Gremese.
70. Rolland, Jacques L. (2014). *The Cook's Essential Kitchen Dictionary: A complete Culinary Resource* (2nd Ed.). Robert Rose.
71. Sealey, Mike (2017). *Spanish Food Dictionary*. CreateSpace Independent Publishing Platform.
72. Senn, Charles Herman (2010). *Culinary Encyclopaedia: A dictionary of technical terms, the names of all foods, food and cookery auxiliaries, condiments and beverages* (First Edition in 1898). Church Press.
73. *The Illustrated Encyclopedia of American Cooking* (2007). First Edition, Favorite Recipes Press (FRP) Publishing, The Cookbook Marketplace.
74. Vicente, Isabel Mata (2015). *Gastronomic Dictionary in Ten Languages: Besides the Scientific Name in Latin* (Kindle Edition). Independent Publisher. ISBN: 10-1511489073.
75. Walker, T. William (2015). *French Menu Translator: Concise Dictionary of French Food*. CreateSpace Independent Publishing Platform.
76. Ward, A. (1911). *The Encyclopedia of Food and Beverage*. New York.
77. West, Robert (2015). *Bon Appétit: French-English Dictionary of Gastronomic Terms* (First Edition). Kindle Edition, Pois, France: Gourmet Guides in collaboration with Languages de Luxe.
78. West, Robert (2015). *Buen provecho: Spanish-English Dictionary of Gastronomic Terms* (First Edition). Pois, France: Gourmet Guides in collaboration with Languages de Luxe.
79. Дюма, Александр (2007). *Большой кулинарный словарь*, Пер. с фр. Г. П. Мирошниченко. – М.: АСТ: Астрель.
80. აგრარული გაზ. „აგროკავკასია“ [<https://agrokavkaz.ge>]

81. არაბული ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები
[https://enadep.gov.ge/uploads/Recommendations_for_Transcription_and_Transliteration_of_the_Arabic_Sound_System.pdf]
82. ბარბარიზმების ლექსიკონი [<https://barbarisms.ge>]
83. ბოტანიკური ლექსიკონი (2008 David A. Mchedlishvili)
[nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=11&id_srch=4f357a4288de512cc7424f07a9efa19d&il=en&p=1]
84. დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი [dictionary.ge]
85. დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი (2008)
[nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=46&id_srch=c7e4feb52234eb729c73c8db5b41a8d8&il=en&p=1]
86. ენციკლოპედია „საქართველო“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია [<https://georgianencyclopedia.ge>]
87. ლექსიკონი ქართული
[nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=8&t=dict&w1=%E1%83%90]
88. ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფი, ქართული ლექსიკონი [ganmarteba.ge]
89. ონლაინ ლექსიკონი [<https://translate.voov.me/Words/velvet>]
90. რუსულ-ქართული ლექსიკონი (1983). ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი: „საქართველო“
[nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=9]
91. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი
[nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=14&id_srch=76147660e41805dbf1c51975adc84aeb&il=en&p=1]
92. უცხო სიტყვათა ლექსიკონი
[nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=3&t=dict&w1=%E1%83%90]
93. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (2008 David A. Mchedlishvili)
[nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=17&t=dict&w1=%E1%83%90]
94. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
[ice.ge/liv/liv/ortograf.php]
95. ქართული ლექსიკონი [ganmarteba.ge]
96. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი (2008 David A. Mchedlishvili)
[nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=39&t=dict&w1=%E1%83%90]
97. Wiley: Online Library [<https://onlinelibrary.wiley.com>]